სკოლის ადმინისტრაციას შეუძლია ვაკანსიების განთავსება ვებ-გვერდზე www.pedagogi.ge, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

ვაკანსიის განსათავსებლად უნდა ესტუმროთ აღნიშნულ ვებ-გვერდს და დააჭიროთ ღილაკს ვაკანსიის დამატება



ავტორიზაციის გავლის შემდეგ თქვენ უნდა შეავსოთ ყველა ველი და დააჭიროთ ღილაკს გამოქვეყნება






სკოლის ვაკანსიების ბლოკში შეგიძლიათ იხილოთ თქვენ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაზე შემოსული განაცხადებები.




| თანამდებობის ტიპი | თანამდებობა | ვაკანსიის ID | საგანი | კლასი | გამოქვეყნების თარიღი | გამოხმაურების ბოლო ვადა | სტატუსი | კანდიდატის სახელი გვარი | ტიპი | მსურველები | შემოსული განაცხადები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მასწავლებელი | მასწავლებელი | 44 | მათემატიკა | I, II, III, V, VI, VIII, IX, XI | 2019-07-24 | 2019-07-31 | გადარჩევა | [redacted] | მაძიებელი | 4 | 2 | ☑ |



მსურველი: მსურველების ღილაკზე ხელის დაჭერის საშუალებით შეძლებთ ნახოთ, თუ რამდენმა აპლიკანტმა გამოთქვა თქვენს სკოლაში აღნიშნული საგნის სწავლების სურვილი, ასევე გაიგოთ მათი სტატუსი - მასწავლებელია თუ მაძიებელი. i სიმბოლოზე ხელის დაჭერის საშუალებით თქვენ გაეცნობით ინფორმაციას აპლიკანტის შესახებ.



| ტიპი | მსურველები | შემოსული განაცხადები | |
|---|---|---|---|
| მაძიებელი | 4 | 2 | ☑ |




შემოსული განაცხადები: აქ თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ყველა განაცხადი, რომლებიც გამოაგზავნეს აპლიკანტებმა თქვენ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაზე.  აღნიშნულ სიმბოლოზე ხელის დაჭერით კი შეძლებთ გაეცნოთ ინფორმაციას ამ აპლიკანტების შესახებ.




მას შემდეგ, რაც გაეცნობით ინფორმაციას მსურველების შესახებ და მიიღებთ გადაწყვეტილებას რომელიმე მათგანის დასაქმებაზე, დააჭირეთ ღილაკს არჩევა მისი მონაცემების გასწვრივ, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ არჩევანი შეაჩერეთ აღნიშნულ აპლიკანტზე.

თუ შეგეშალათ, ან შეცვალეთ გადაწყვეტილება, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ სხვა პირი. ამისათვის თავიდან უნდა შეხვიდეთ შემოსულ განცხადებებში და აირჩიოთ თქვენთვის სასურველი აპლიკანტი.

ვაკანსიისთვის შერჩეული პირი უნდა გამოჩნდეს ველში კანდიდატის სახელი და გვარი.




თუ თქვენ მიერ ვაკანტურ ადგილზე შერჩეული კანდიდატი არის მაძიებელი, ხელშეკრულების გაფორმებამდე აგზავნით მოთხოვნას სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. ამისათვის უნდა დააჭიროთ ღილაკს მოთხოვნის გაგზავნა.




მოთხოვნის გაგზავნის შემდეგ გამოჩნდება ქვემოთ მოცემული ტექსტი რაც ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა გაიგზავნა წარმატებით და უნდა დაელოდოთ დადასტურებას.




გისურვებთ წარმატებებს!